CSR

რეპორტი

2020

სს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია "მიკრო ბიზნეს კაპიტალი" ("ემბისი") თანამედროვე, ინოვაციური და საერთაშორისო სტანდარტების საფუძველზე მოქმედი ორგანიზაციაა, რომლის მიზანია მიკრო და მცირე მეწარმეებისა და ფერმერებისთვის მათზე მორგებული და ხელმისაწვდომი ფინანსური სერვისების შეთავაზება, ფინანსური სახსრების და სასესხო პროდუქტების ხელმისაწვდომობის გაზრდა, გრძელვადიანი და გამჭვირვალე ურთიერთობა მომხმარებლებთან.

"ემბისი", როგორც კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის მქონე ფინანსური ინსტიტუტი, ორიენტირებულია საკუთარი წვლილი შეიტანოს ქვეყნის მდგრად ეკონომიკურ განვითარებაში. "ემბისი"-სთვის კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა ბიზნესის მოდელთან ინტეგრირებული კორპორაციის თვითრეგულირების ფორმას წარმოადგენს და ასახულია კომპანიის ძირითად ღირებულებებში: გამჭვირვალობა, პასუხისმგებლობა, პარტნიორობა, ეთიკური კორპორაციული მართვა, ინოვაცია.

"ემბისი"-ის კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის სტრატეგია მოიცავს შემდეგ მიმართულებებს: გარემოს დაცვა, ქალთა გაძლიერება, ფინანსური განათლების მხარდაჭერა, შრომითი უფლებები, ახალგაზრდების მხარდაჭერა, გამჭვირვალობა და ბიზნესეთიკა. ასევე განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ქალთა სოციალურ და ეკონომიკურ გაძლიერებას.

გენდერული თანასწორობის მიღწევის პროგრესის დაჩქარების მიზნით, “ემბისი” თანამშრომლობს გაეროს ქალთა ორგანიზაციასთან, რომელიც ახორციელებს კერძო სექტორის მობილიზაციას და კომპანიებს სამუშაო ადგილებსა თუ მათ მიღმა ქალთა ეკონომიკური გაძლიერების კუთხით მნიშვნელოვანი ზომების განხორციელებაში ეხმარება. გაეროს ქალთა ორგანიზაციის/გაეროს გლობალური შეთანხმების ქალთა გაძლიერების პრინციპებისა და ქალთა გაძლიერების პრინციპების გენდერული ანალიზის ინსტრუმენტის გამოყენებით, “ემბისი” გაეროს ქალთა ორგანიზაციასთან ერთად უზრუნველყოფს ინფორმირებულობის ამაღლებას, თუ რატომ აქვს ბიზნესის ეფექტიანობისთვის გენდერულ თანასწორობას დიდი მნიშვნელობა და ქალთა ეკონომიკურ გაძლიერებას ქვეყნის მდგრად განვითარებაში. “ემბისის “ მიერ განსახორციელებელი ზომების რამდენიმე მაგალითია: შრომის თანასწორი ანაზღაურების პოლიტიკა, სამსახურში მიღების გენდერულად მგრძნობიარე პრაქტიკა, მიზნობრივი დასაქმების პროგრამები და მარკეტინგის იმგვარი პრაქტიკის დამკვიდრება, რომელიც გენდერულ სტერეოტიპებს უპირისპირდება.

კომპანია მიზნად ისახავს მომხმარებლებს გაუწიოს მათ საჭიროებებზე მორგებული, გამჭირვალე და მაღალი ხარისხის მომსახურება, რათა ხელი შეუწყოს სოციალური სარგებლის მაქსიმიზაციას.

2020 წლის მთავარი გამოწვევა “ემბისისთვისაც” COVID 19-ია, რომელთან გამკლავება და ამ პროცესში კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის კიდევ უფრო გაძლიერებამ განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძინა. კორონავირუსის გავრცელების პრევენციისა და მართვის უზრუნველყოფის მიზნით, ემბისიმ გადადგა მნიშვნელოვანი ნაბიჯები, როგორც მომხმარებელთა მხარდაჭერის, ასევე თანამშრომელთა გაძლიერების, დაცვის და ქალთა გაძლიერების კუთხით. გაგრძელდა ფინანსური განათლების პროექტი: “ფინანსური მრჩეველი”. ამ მნიშვნელოვან პროცესში განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძინა პარტნიორულმა პროექტებმა.

“ემბისის” პარტნიორები

UN Global Compact

UN Women

Microfinance Centre

Smart Campaign

CSRDG

Actions Against Hunger

CIDA

PROBONO Georgia

Fund Taso

Katharsis

ფინანსური განათლება

ფინანსური განათლება "ემბისის" კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის მნიშვნელოვანი მიმართულებაა, რომელმაც განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძინა 2020 წლის გამოწვევებთან ბრძოლაში. ფინანსური განათლების კუთხით, მნიშვნელოვანია პროექტი "ფინანსური მრჩევლი". დღესდღეობით, მოსახლეობის ფინანსური განათლების თემა ძალიან აქტუალურია არამხოლოდ საქართველოში, არამედ მთელ მსოფლიოში. ფინანსური განათლება ეს არის ფინანსური ცოდნის, ქცევებისა და დამოკიდებულებების ერთობლიობა, რომლებიც ადამიანს ეხმარება, სწორად შეაფასოს გარემო, მის წინაშე არსებული რისკები და შესაძლებლობები, მიიღოს გონივრული, გააზრებული, პასუხისმგებლობასა და შესაბამის ინფორმაციაზე დაფუძნებული ფინანსური გადაწყვეტილებები. ფინანსური განათლება ადამიანს საკუთარი უფლებების უკეთ დაცვასა და პირადი თუ ოჯახის ფინანსური კეთილდღეობის მიღწევაში ეხმარება.

ფინანსური ინსტიტუტები, ყოველდღიურად, ახალ და მრავალფეროვან მომსახურებას სთავაზობენ თავიანთ მომხმარებელს, რიგით ადამიანს კი სჭირდება გარკვეული ცოდნა და გამოცდილება, როგორც შემოთავაზებული პროდუქტებისა და მომსახურებების კომპეტენტურად გააზრებისთვის, ისე დამოუკიდებელი და საუკეთესო გადაწყვეტილების მიღებისთვის.

ხშირად ახალგაზრდები ვერ განკარგავენ ფინანსებს რაციონალურად, შედეგად ვერ გეგმავენ თავიანთ ცხოვრებისეულ ციკლსა და ფინანსურ მომავალს. რაც სერიოზულ პრობლემად დადგა პანდეემიით გამოწვეულ კრიზისის დროს. მათ, ფაქტობრივად, არ აქვთ დანაზოგი, არ გააჩნიათ ფინანსური მიზნები და ცხოვრობენ მხოლოდ დღევანდელი დღით. უნდა აღინიშნოს, რომ არსებობენ სხვადასხვა ფინანსური თაღლითობის სქემით დაზარალებული ადამიანებიც.

დღეს, ჩვენს ქვეყანაში, ბიზნესის წარმოებისთვის ხელსაყრელი გარემოა შექმნილი, მიუხედავად კრიზისისა, მაგრამ მიუხედავად ამისა, დიდია წარუმატებელი სტარტაპების რიცხვი, ვერ ვითარდებიან მცირე და საშუალო საწარმოები, რომლებიც ქვეყნის განვითარების ქვაკუთხედს უნდა წარმოადგენდნენ. პრობლემებია სოფელშიც - ფერმერებს არ ჰყოფნით სამეწარმეო გამოცდილება და უნარები თავიანთი მეურნეობის განსავითარებლად. მრავალი მაგალითის მოყვანა შეიძლება იმის დასტურად, რომ საზოგადოებაში არსებული ცოდნა საკმარისი არ არის.

"ფინანსური მრჩეველის" იდეაც სწორედ აქედან გაჩნდა, იგი მიზნად ისახავს გუნდის გამოცდილება და ცოდნა გაუზიაროს ადამიანებს, ვისაც ამის საჭიროება აქვთ.

აღნიშნული პროექტის ფარგლებში "ფინანსური მრჩევლის" გუნდი აგრძელებს უფასო კონსულტაციებს მეწარმეებისთვის, დაინტერესებული მოქალაქეებისთვის და იმ სექტორებისთვის, რომლებიც პანდემიის გამო განსაკუთრებულად დაზარალდნენ. ასეთ სექტორს წარმოადგენს ტურიზმის მიმართულება. "ფინანსური" მრჩევლის გუნდმა ტურიზმის სექტორში დასაქმებული მოქალაქეების და სასტუმროს, გესთჰაუზების ხელმძღვანელებისთვის ჩაატარა ტრენინგების ციკლი ფინანსური განათლების, მარკეტინგის და სოციალური მედიის მიმართულებით.

"ემბისი" ეროვნულ ბანკთან თანამშრომლობით აგრძელებს https://finedu.gov.ge-ზე განთავსებული კონტენტის ფართო საზოგადოებისთვის გაცნობას. FinEdu - ეს არის პირველი ქართული საგანმანათლებლო ვებ-პორტალი, რომელიც სრულად ფინანსურ განათლებას ეძღვნება და თავს უყრის ისეთ საგანმანათლებლო რესურსებს, როგორიცაა პუბლიკაციები და ბლოგები, ბროშურები, სახელმძღვანელოები და სხვა მსგავსი საბეჭდი და დამხმარე მასალა, ვიდეო და აუდიო კონტენტი.

აღნიშნული კონტენტი ვრცელდება "ემბისის" საკომუნიკაციო არხებით, იქმნება საინტერესო და ადვილად აღქმადი ვიზუალური მასალა მომხმარებლებისთვის .

"ემბისი" აღმოსავლეთ და ცენტრალური ევროპის მიკროსაფინანსო ცენტრის - MFC-ის წევრი გახდა. MFC რეგიონალური მიკროფინანსების რესურს ცენტრს და ქსელს წარმოადგენს, რომელიც აერთიანებს ევროპის და ცენტრალური აზიის ქვეყნებიდან 110 ორგანიზაციას. მათ შორისაა 77 მიკროსაფინანსო ორგანიზაცია, რომელთა მიზანს, პასუხისმგებლიანი დაკრედიტების გზით, მცირე მეწარმეებისათვის ფინანსურ რესურსზე წვდომის უზრუნველყოფა წარმოადგენს. MFC-ის წევრობა "ემბისისთის" ფინანსური განათლების მიმართულებით კიდევ უფრო მეტ შესაძლებლობას აჩენს, რომელსაც ვუზიარებთ მომხმარებლებს. ასეთ შესაძლებლობას წარმოადგენს "ისესხე გონივრულად" - საერთაშორისო ფინანსურ-საგანმანათლებლო კამპანია. კამპანია "ისესხე გონივრულად" მიზნად ისახავს მომხმარებელთა ფინანსური განათლების ამაღლებას და ამ გზით, მათი უფლებების დაცვის გაძლიერებას.

"ისესხე გონივრულად" წარმოადგენს საერთაშორისო მიკროსაფინანსო ცენტრის (MFC) მიერ 2014 წლიდან დაწყებულ მასშტაბურ საგანმანათლებლო კამპანიას, რომელიც მოიცავს რეკომენდაციებსა და რჩევებს იმის შესახებ, თუ რა შეკითხვებს უნდა უპასუხოს მომხმარებელმა სესხის აღების გადაწყვეტილების მიღებამდე. 2020 წლის მონაცემებით კამპანიაში ჩართულია ევროპისა და ცენტრალური აზიის 14 ქვეყანა და 23 მიკროსაფინანსო ორგანიზაცია.

"ემბისიმ" კამპანიის ფარგლებში სრულად გააქართულა და ხელმისაწვდომი გახადა მომხმარებლებისთვის საერთაშორისო გამოცდილების გასაზიარებლად შექმნილი ვიზუალური თუ ტექსტური მასალა, შეიქმნა საინფორმაციო ვიდეო რგოლები, რჩევების პოსტერები და ბევრი საინტერესო და აუცილებელი კონტენტი ფინანსური განათლებისთვის .

ქალთა გაძლიერება

მზარდი ფაქტები და მონაცემები ადასტურებენ, რომ გენდერული თანასწორობისა და გაეროს მდგრადი განვითარების მიზნების წარმატებით მიღწევა ქალთა ეკონომიკური გაძლიერების გარეშე შეუძლებელია. ამიტომ, გაეროს ქალთა ორგანიზაციის საქართველოს ოფისთან ერთად, მდგრადი ცვლილების უზრუნველყოფისა და ქალთა ეკონომიკური გაძლიერებისთვის ხელშემწყობი გარემოს შექმნის მიზნით, "ემბისი"-ში შემუშავებულია სამოქმედო გეგმა, რომელიც წარმატებით ხორციელდება.
პანდემიამ გაზარდა ის საფრთხეები, რომლებიც ინფექციის რისკის ფარგლებს სცდება. თანმხლები სტრესების გამო გაიზარდა ოჯახში ძალადობის, ამასთანავე, გენდერული ნიშნით ძალადობის შემთხვევები.
მიმდინარე პანდემიისას ოჯახში ძალადობის შემთხვევები გლობალურად ერთი მესამედით გაიზარდა. თითქმის ყველა ქვეყანაში გაიზარდა ძალადობის მსხვერპლი ქალების რიცხვიც. ძალადობის რისკს ასეთ შემთხვევაში სხვადასხვა გარემოება ამწვავებს, ეს შეიძლება იყოს პანდემიით გამოწვეული შიში, სტრესი, გაუარესებული ეკონომიკური მდგომარეობა, რაც მოძალადისთვის შესაძლოა მაპროვოცირებელი ფაქტორი გახდეს. ამასთან, მსხვერპლი უფრო მეტ დროს ატარებს ოჯახის მოძალადე წევრთან.
“ემბისისთვის” ასეთი ქალების დახმარება განსაკუთრებით აქტუალურია და სწორედ ამ მიმართულებით განხორციელდა პროექტები .
ასეთ პროექტს წარმოადგენს შესყიდვების პოლიტიკის გადახედვა და პრიორიტეტის მინიჭება იმ ქალი მეწარმეებისთვის , რომლებსაც განსაკუთრებული მხარდაჭერა ჭირდებათ. კომპანიამ განახორციელება მრავალჯერადად პირბადეების შესყიდვა მრავალშვილიანი, ქალი მეწარმისგან .
კომპანია, თანამშრომლებთან ერთად დაეხმარა ძალადობის მსხვერპლ ქალს, სტუდენტს, რომელზეც ძალადობდა ოჯახის წევრი-მამა. მსხვერპლს მოუწია დაუგეგმავად სახლიდან წამოსვლა და აღმოჩნდა შემოსავლის, პირველადი ნივთების გარეშე, რომლის შესყიდვაც უზრუნველყო “ემბისიმ” და ემბისის თანამშრომლებმა.

“ემბისი” ყოველწლიურად უერთდება გენდერული ძალადობის წინააღმდეგ გლობალურ კამპანიას, რომელიც ხორციელდება გაეროს ქალთა ორგანიზაციის მიერ და ეს არის ოს უმნიშვნელოვანესი პრობლემა, რომლის აღმოფხვრის ირგვლივ მთელი მსოფლიო კიდევ ერთხელ ერთიანდება.
გენდერული ძალადობის დაძლევაში კერძო სექტორს უმნიშვნელოვანესი როლი აქვს. როგორც ქალთა გაძლიერების პრინციპებზე ხელმომწერი კომპანია, რომელიც ქალთა გაძლიერებისკენ ვისწრაფვით, ვაცნობიერებთ, რომ გენდერული ძალადობის აღმოფხვრის გარეშე ამ მიზნის მიღწევა შეუძლებელია.
სწორედ ამიტომ, ვცდილობთ, გარკვეული ნაბიჯები გადავდგათ, რათა ხელი შევუწყოთ ძალადობისგან თავისუფალი გარემოს შექმნას როგორც ორგანიზაციის შიგნით, ისე მის გარეთ. ავამღალოთ ცნობიერება ამ პრობლემის შესახებ, პოპულარიზაცია გავუწიოთ სერვისებს, რომლებიც ძალადობის წინააღმდეგ არსებობს და მხარი დავუჭიროთ გენდერული ძალადობის მსხვერპლებს.
“ემბისი” 2020 წელსაც უერთდება და სოლიდარობას უცხადებს გენდერული ძალადობის წინააღმდეგ გლობალურ კამპანიას, რომელიც 25 ნოემბერს, ქალთა მიმართ ძალადობის აღმოფხვრის საერთაშორისო დღეს იწყება და 16 დღე გრძელდება.

თანამშრომლები

კომპანიის წარმატების საფუძველს წარმოადგენს მისი თანამშრომლების გუნდი, რომელიც ყოველდღიურ საქმიანობაში ხელმძღვანელობს საერთაშორისოდ აღიარებული კორპორაციული მართვის პრინციპებითა და ეთიკის ნორმებით. პერსონალის მართვის სტრატეგია ორიენტირებულია მაღალი მოტივაციის სისტემაზე და ჯანსაღი კონკურენციის ხელშეწყობაზე.

"ემბისი" განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს თანამშრომლებისათვის შრომის უსაფრთხო პირობების შექმნას და დაცვას, უზრუნველყოფს მათი განვითარების ხელშემწყობი და წამახალისებელი გარემოს შექმნას.

კომპანიაში დანერგილია ონლაინ პლატფორმა "თანამშრომლის ხმა", რომლის საშუალებითაც თანამშრომლებს, სრული ანონიმურობის დაცვით, შეუძლიათ ნებისმიერი შენიშვნის, უკმაყოფილებისა და გადაცდომის შესახებ მიწერონ ადამიანური რესურსების ჯგუფს, ტოპ მენეჯერებს, დირექტორებს. ამავე პლატფორმის მეშვეობით თანამშრომლებს აქვთ საშუალება დააფიქსირონ ახალი იდეები და რეკომენდაციები. აღნიშნული ქმნის მნიშვნელოვან მოტივაციას თანამშრომლებისთვის ერთობლივი ძალებით ჩამოვაყალიბოთ უფრო წარმატებული კომპანია, შევქმნათ კომფორტული და მეგობრული სამუშაო გარემო, სადაც თითოეული ჩვენგანი იქნება კმაყოფილი და ბედნიერი.

"ემბისი"-ს ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტია თანამშრომლების განვითარებაზე ზრუნვა, მათი შესაძლებლობების მაქსიმალურად გამოვლენის ხელშეწყობა, პროფესიული განვითარებისთვის დამატებითი საჭიროებების გამოვლენა და კარიერის დაგეგმვის მიზნით გადაადგილების შესაძლებლობების შექმნა.

კომპანია მხარს უჭერს ფინანსურად კვალიფიკაციის ასამაღლებელ და პროფესიული განვითარებისთვის საჭირო ტრეინინგებს.

პანდემიით შექმნილი კრიზისის პირობებშიც, კომპანიისთვის თანამშრომლები მთავარ ღირებულებას წარმოადგენენ და მათზე ზრუნვა გახდა კომპანიის მთავარი ამოცანა. რაც გამოიხატა პირვე რიგში სამუშაო ადგილების და ანაზღაურების 100%-ით შენარჩუნებაში, თანამშრომელთა უსაფრთხოებაზე ზრუნვაში და მათ განვითარების უწყვეტობაში.

"ემბისი"-ში განხორციელდა მასშტაბური შიდა ონლაინ ტრენინგების სერია, რომელიც საკრედიტო დეპარტამენტის ინიციატივით განხორციელდა და რომელშიც კომპანიის უკლებლივ ყველა თანამშრომელი იყო ჩართული.

პროექტის მიზანი პანდემიის შედეგად გამოწვეულ კრიზისულ ვითარებასთან გამკლავება, ახალი შესაძლებლობების აღმოჩენა და მათი უპირატესობად გარდაქმნა გახლდათ. ტრენინგები, თემატიკის მიხედვით, რამოდენიმე აქტუალურ მიმართულებას მოიცავდა:

- საკრედიტო პროდუქტების პროცესინგი;
- სკრიპტები გაყიდვების მიმართულებით;
- ეფექტური კომუნიკაცია;
- მოტივაცია - მიზნის დასახვისა და მიღწევის იარაღი;

ასევე, პროექტი "Talk" - რომლის მიზანი თანამშრომლებისთვის მიმდინარე პროცესების შესახებ განახლებული ინფორმაციის მიწოდება, სტრესის მართვა და გუნდურობის გაძლიერება იყო.



პროფესიული ტრენინგების გარდა კომპანიის თანამშრომლებმა საოპერაციო დეპარტამენტიდან გამოხატეს ინიციატივა და დაიწყეს არაპროფესიული, არამედ თანამშრომელთა მოტივაციის გაძიერების ტრენინგების და ვორქშოფების სერია, რამაც პოზიტიური გავლენა მოახდინა კომპანიის გუნდზე.



თანამშრომლების დახმარების ფონდი და პროექტი “სიკეთე გადამდებია”

თანამშრომელთა ინიციატივით შეიქმნა კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის პროექტი “სიკეთე გადამდებია”, თანამშრომლებმა მიიღეს გადაწყვეტილება და საზოგადოების მხარდაჭერის მიზნით პანდემიის პერიოდში გაიღეს ხელფასიდან თანხა ყოვეთვიურად, რასაც კომპანია თავის მხრიდან ამატებდა ფონდში იგივე მოცულობის თანხას. შეგროვილი რესურსით კი განხორციელდა პროექტები:
ხუთი მოზარდის დაფინანსება და მათი ინტერნეტით უზრუნველყოფა სოფელი ჯვრიდან, რომელიც მდებარეობს ენგურის ნაპირას და მოსახლეობის ნახევარზე მეტი აფხაზეთიდან დევნილია, ასევე სოფლებიდან : შუაფხო უკანა ფშავი, ანაკლია და გორის კონფლიქტისპირა სოფლებიდან.
ასევე გამოიყო ფონდიდან თანხა ხანდაზმულების დასახმარებლად და მოხდა მათთვის საჭირო მედიკამენტების და საკვები პროდუქტების შესყიდვა.
ფონდი დაეხმარა ძალადობის მსხვერპლ ქალს, გადაიხადა ბინის ქირის საფასური და მოხდა მისთვის პირველადი და აუცილებელი ნივთების და პროდუქტების შეძენა.
ქვეყანაში შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე, "ემბისი"-მ ასევე მიიღო გადაწყვეტილება 3 თვიანი საშეღავათო პერიოდის დაწესების შესახებ ყველა იმ მომხმარებლისთვის, რომლის შემოსავლებზე უარყოფითი გავლენა იქონია მიმდინარე პანდემიამ. საშეღავათო პერიოდი შეეხო როგორც სესხის ძირს, ასევე პროცენტსაც.

სასესხო ვალდებულებებზე საშეღავათო პერიოდთან დაკავშირებით, დეტალური ინფორმაცია მომხმარებლებმა მიიღეს ინდივიდუალურად, მათთან იმუშავეს კომპანიის თანამშრომლებმა და მაქსიმუმი გააკეთეს მომხმარებლების დასახმარებლად. რათქმაუნდა თითოეულ მომხმარებელთან კომუნიკაცია და საჭირო პროცედურების განხორციელება მოხდა დისტანციურად, მისოს სერვის ცენტრებში ვიზიტის გარეშე. "ემბისი" ყოველთვის ზრუნავს მომხმარებელზე. ჩვენთვის, როგორც მაღალი სოციალური პასუხისმგებლობის მქონე კომპანიისთვის, მომხმარებლის კეთილდღეობა იყო და ყოველთვის იქნება უმთავრესი პრიორიტეტი.

ახალგაზრდების მხარდაჭერა

"ემბისი" როგორც კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის მქონე ფინანსური ინსტიტუტი, განათლების ხელშეწყობას და ახალგაზრდების მხარდაჭერას განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს. ჩვენთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ახალგაზრდების ეკონომიკური გაძლიერება და მათი პოტენციალის რეალიზებაში დახმარების გაწევა. ეს სტრატეგიული მიმართულება ესადაგება გაეროს მდგრადი განვითარების მე-4, მე-5, მე-8, მე-9 და მე-10 მიზნებს.
მოთხოვნილ და მიწოდებულ უნარებს შორის შეუსაბამობა უმუშევრობის მაღალი მაჩვენებლის ერთ-ერთი მთავარი მიზეზია. ამ კუთხით, აუცილებელია სამუშაო ადგილების პროგნოზირებისა და კარიერული კონსულტირების სისტემის დახვეწა, რაშიც აქტიურად არის ჩართული "ემბისი"-ს ადამიანური რესურსების განყოფილება, რომელიც უფასო კონსულტაციებს უწევს ახალგაზრდებს და სოციალურ საწარმოებს პროექტ "ფინანსური მრჩეველის" ფარგლებში.

ასევე, აუცილებელია, როგორც ფორმალური და არაფორმალური, ისე პროფესიული განათლების ხარისხის ამაღლება, რაც მნიშვნელოვნად შეამცირებს შრომის ბაზარზე არსებულ დისბალანსს. აღნიშნული მიმართულებით, "ემბისი"-ს მუდმივად აქვს ტრენინგების სერია სტაჟიორებისთვის და დაინტერესებული ახალგაზრდებისთვის. ასევე, დამწყები მეწარმეებისთვის, რომლებსაც სურთ ისარგებლონ კომპანიის პროდუქტებით.

შრომის ბაზარზე ახალგაზრდების უკეთ ინტეგრირებისთვის არსებითია მათი ხელშეწყობა განათლებიდან დასაქმებაზე გადასვლის ეტაპზე. ამ მიზნით, ჩვენს მიერ გადადგმული ქმედითი ნაბიჯია სტაჟირების პროგრამების დახვეწა, შეფასების თანამედროვე მეთოდების დანერგვა და აქტიური თანამშრომლობა გაეროს გლობალური შეთანხმების ქსელთან და გაეროს ქალთა ორგანიზაციასთან. აგრეთვე, ჩვენ ხელს ვუწყობთ ახალგაზრდებისთვის - განსაკუთრებით მოწყვლადი ჯგუფებისთვის - ალტერნატიული და ინოვაციური ინიციატივების განხორციელებას, სპეციალურად მათთვის სამუშაო ადგილების შექმნას.